პ ა ტ ი ვ ცე მ უ ლ ო კ ო ლ ე გ ე ბ ო !

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იწყებს მასალების მიღებას თსსუ-ის **2023 წლის სამეცნიერო შრომათა კრებულში** პუბლიკაციისთვის ***(ტომი 57)***.

გამოსაქვეყნებლად მიიღება თსსუ-ის აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით შესრულებული **სამეცნიერო ნაშრომები** (მიმოხილვითი, ან ორიგინალური სამეცნიერო სტატია, შემთხვევის აღწერა, სხვ.). შეგახსენებთ, რომ წარმოდგენილ მასალაში **(ორიგინალური სტატია)** მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გამოკვლეული საკითხის/პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის საგნის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ტიპი, დიზაინი, მეთოდები, შედეგების სარწმუნობის დასადგენი კრიტერიუმები, შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. **მიმოხილვითი და/ან შემთხვევის აღწერის ამსახველი** სტატია უნდა შეესაბამებოდეს ამგვარი პუბლიკაციებისადმი დადგენილ სტანდარტებს. სტატიები მიიღება ქართულ, ან ინგლისურ ენაზე; სტატიას თან უნდა ერთვოდეს **რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე** (თითოეული - 1000 სასტამბო ნიშნის მოცულობით მაინც; ქართულენოვანი რეზიუმე - ქართული რეფერატული ჟურნალისათვის (ქრჟ). სტატიის და ინგლისურენოვანი რეზიუმეს **მოცულობა** (ჯამურად) არ უნდა აღემატებოდეს **7 გვერდს (ფორმატი A 4; Microsoft Word; შრიფტი: ქართული ტექსტისთვის - AcadNusx, ინგლისური ტექსტის-თვის - TimesNewRoman, ზომა - 12, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,15);** სტატიის საილუსტრაციო **ფოტო**, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას დამოუკიდებელ ფაილად **"jpg"** ფორმატში (რეზოლუცია - 250-300 dpi), ხოლო **დიაგრამები** – **Excel**-ის ფაილში.

კრებულში დასაბეჭდ ნაშრომთა რაოდენობა შეზღუდულია. კრებულში **ერთმა ავტორმა** შეიძლება გამოაქვეყნოს **არაუმეტეს სამი სტატიისა,** ხოლო ერთი **სტატიის ავტორთა რაოდენობა** არ უნდა აღემატებოდეს **ხუთს.** გადაწყვეტილებას წარმოდგენილი მასალის კრებულში პუბლიკაციის შესახებ, რეცენზირების შემდგომ, მიიღებს კრებულის **სარედაქციო კოლეგია.**

გთხოვთ, სტატია/-ები, ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით, წარმოადგინოთ თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (II სართული, ოთ. №№223, 224) **2024 წლის 2 თებერვლის ჩათვლით** შემდეგი სახით: **1 ნაბეჭდი ეგზემპლარი, მისი ელექტრონული ვერსია CD**-ზე (ან **E-mail-ზე – irma@tsmu.edu**). სტატია **ვიზირებული** უნდა იყოს შესაბამისი დეპარტამენ-ტის/ლაბორატორიის/სტრუქტურის ხელმძღვანელის მიერ *(მისი თანაავტორობის მიუხედავად).* გთხოვთ, მიუთითოთ ავტორთა **საკონტაქტო ტელეფონები და e-mail -მისამართი.**

*გთხოვთ, სტატიის **„ქუდი"** გააფორმოთ ქვემოთ მოყვანილი თანმიმდევრობით:*

ავტორის / ავტორთა გვარი, ინიციალები

ს ა თ ა უ რ ი

ორგანიზაცია / სტრუქტურა, სადაც შესრულდა ნაშრომი

შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

4/10/2023